მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი დარეჯან ჩიკვილაძე

დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

შორენა ხეცურიანი

ასოცირებული პროფესორი.

თამარ დიდბარიძე

ასოცირებული პროფესორი,

დარეჯან მეტრეველი

ასისტენტ-პროფესორი.

ხათუნა გაჩეჩილაძე

ასისტენტ-პროფესორი.

მაია მიქელაძე

ასისტენტ-პროფესორი.

მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი

მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა ბაქტერიოლოგიის კათედრა, უნივერსიტეტიდან სამკურნალო ფაკულტეტის სამედიცინო ინსტიტუტის სახით გამოყოფის შემდეგ კი ამ კათედრას მიკრობიოლოგიის კათედრა ეწოდა. 1919 წლიდან 1929 წლამდე მიკრობიოლოგიის კათედრას მისი დამაარსებელი, პროფესორი ს. ამირეჯიბი განაგებდა. მან 1903 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა, 1904-1909 წლებში ხარკოვის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ასისტენტი იყო, შემდეგ კი ამ ინსტიტუტის შრატებისა და ვაქცინების განყოფილების გამგე. 1909 წლიდან სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბერლინში, მიუნხენში, ბრიუსელში, ვენაში, პარიზში. 1933 წელს გამოაქვეყნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო _ "სამკურნალო მიკრობიოლოგია". 1929-1937 წლებში მიკრობიოლოგიის კათედრას პროფესორი გ. ელიავა განაგებდა. მან უმაღლესი განათლება ნოვოროსიისკის, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტებში მიიღო, 1918-1922 და 1925-1927 წლებში პარიზში, პასტერის ინსტიტუტში მუშაობდა. 1922 წელს საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ბაქტერიული პრეპარატების, ზოგიერთი ვაქცინის და დიფტერიის საწინააღმდეგო შრატის წარმოებას. 1937-1974 წლებში მიკრობიოლოგიის კათედის გამგე იყო პროფესორი ვ.ანთაძე, რომელმაც 1923 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და განვლო გზა კათედრის ასისტენტიდან კათედრის გამგემდე. მან შეასრულა ფუნდამენტური ნაშრომი "მასალები ბრუცელოზის ეპიდემიოლოგიისთვის საქართველოში".

1974-1995 წლებში უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცნო უნივერსიტეტში მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრის გამგე იყო პროფესორი თ.

კერესელიძე. მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა იმ წვლილმა, რომელიც შეიტანა ისეთ დაავადებებთან ბრძოლის საქმეში, როგორიც არის ყვავილი, ქოლერა. თ. კერესელიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში ჯანდაცვის ორგანიზებაში, იყო რა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორი საქართველოში.

1995-2005 წლებში მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრის გამგე იყო პროფესორი დ. ჩიკვილაძე. 2006-2015 წლებში კათედრას ეწოდა მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი გ. გოგიჩაძე. დეპარტამენტი წარმოდგენილი იყო ორი მიმართულებით: მიკრობიოლოგიის (ხელმძღვანელი პროფესორი გ. გოგიჩაძე) და იმუნოლოგიის (ხელმძღვანელი პროფესორი თ. ჩიქოვანი).

2016 წლიდან შეიქმნა მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად არჩეულია პროფესორი დ. ჩიკვილაძე. 1980 წლიდან 2004 წლამდე კათადრასთან მუშაობდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანტიობიოტიკორეზისტენტობის კოლაბორატორიული ცენტრი. დეპარტამენტში ხორციელდება დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების აკრედიტირებული პროგრამები კლინიკურ მიკრობიოლოგიაში, აგრეთვე, აკრედიტირებული სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამა “ლაბორატორიული მედიცინა”, მოდული “კლინიკური მიკრობიოლოგია”. ხელმძღვანელი პროფესორი დ. ჩიკვილაძე. 2010 წელს პროფესორ დ. ჩიკვილაძის და ასისტენ-პროფესორის დ. მეტრეველის ავტორობით გამოცემულია დამხმარე სახელმძღვანელო “მიკრობიოლოგია სტომატოლოგიაში”, ხოლო 2016 წელს გამოცემულია სახელმძღვანელო “სამედიცინო მიკრობიოლოგია”. დეპარტამენტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ძირითადად ეხება ნოზოკომიური ინფექციების მიკრობიოლოგიურ ასპექტებს. დეპარტამენტში ამჟამად სრულდება ინდივიდუალური სადოქტორო კლვევის პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. დ. ჩიკვილაძე. მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის პედაგოგიური პერსონალი: მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი დარეჯან ჩიკვილაძე, ასოცირებული პროფესორები შორენა ხეცურიანი და თამარ დიდბარიძე, ასისტენტ-პროფესორები - დარეჯან მეტრეველი, ხათუნა გაჩეჩილაძე და მაია მიქელაძე. მოწვეული პედაგოგები: მედიცინის დოქტორი - მარიამ სინჯიკაშვილი, ექიმები - ნინო ბაღაშვილი და იულია ზედგინიძე. ლაბორანტები - იამზე ჭანტურია და თეა თოფურია.